წელიწადი პირველი.

ცალკე ნომერი 3 კ.

თბილისი, ხუთშაბათი 6 ივლისი 1906 წ.

# ახალი ცხოვრება

თბილისი, ხუთშაბათი 6 ივლისი, 1906 წ.

№ 13. ყოველ დღიური გაზეთი № 13.

პირველ ივლისიდან მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ

## „ახალ ცხოვრებაზე".

გაზეთი ეღირება:

თფილისში: წლიურათ—5 მ., ექვსი თვით—2 მ. 50 კ., თვიურათ—50 კ.
ქალაქს გარეთ: წლიურათ 6 მან. ექვ ი თვით 3 მ., თვიურათ—60 კ.

ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.

ვინც გაზეთს წლის ბოლომდი გამოიწერს იმას გაზეთი 20 ივნისიდან 1 ივლისამდე უფასოთ დაეთმობა.

რედაქციის ადრესი: სემიონოვის ქუჩა № 4.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „Ахали Цховреба".

პოლიციმეისტერი მარტინოვი ყუმბარით დასჭრეს. მკვლელი გაიქცა.—გამხეცებულმა კაზაკებმა მოკლეს უდანაშაულო, ბალონით საკსე ახალგაზრდა მწერალი მიო ჩიტაძე.—დასჭრეს სათავად-აზნაურო გიმნ. მასწავლებელი ი. აბულაძე და ხ. ღლონტი.—გლეხთა მოძრაობა საშიშ სახეს იღებს რუსეთში.—მემამულეების სახლკარი, ეკონომიები და ტყე-ველი ცეცხლშია გახვეული.

კვირას 9 ივლისს, ს. წესში გადახდილი იქნება პანაშვიდი

## აკაკი ბაქრაძის

სულის მოსახსენებლათ.

## ვაჭართა კრება.

დღეს, 6 ივლისს დილის ათ საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში, გენერალ-გუბერნატორის ნებართვით **დანიშნულია მიკიტნების სირაჯების და სარდაფების** პატრონების

## საზოგადო კრება

**მოხამსახურეების მოთხოვნილებათ დაკმაყოფილების შესახებ** მოსალაპარაკებლათ.

გარდა სავაჭროს პატრონებისა კრებას ვერავინ დაესწრება. (1—1)

### ჩვენი „ბლანკისტური" ტაქტიკა.

გაზეთ „სიმართლის" პირველ ნომერში ამხ. პარი ულმობლათ „ანადგურებს" მეუმრავლესეთა ვითომდა ბლანკისტურ ტაქტიკას; ამასთანავე ის იმედოვნებს რომ რუსეთის შეგნებული პროლეტარიატი და ძლევამოსილი რევოლიუცია ღირსეულათ დააგვირგვინებს მის მიერ დაწყებულ 'დიად საქმე', ჩვენი ამხანაგი თავის თავს ტკბილ ოცნებების აკვანში არწევს და ოქროსფერ სიზმრებს ეცემა; „ცხოვრებამ ბოიკოტის ტაქტიკა უარყო და მით ბლანკიზმის (ე. ი. უმრავლესობის) სრული განადგურება მოგვიახლოვა. სავსებით მისი უარყოფა, ეს მომავლის საქმეა". მაგრამ აი მოდის „ეკლიანი სიმართლე" ჰფანტავს ვარდისფერ ილიუზიებს და მწარე სინამდვილეს ატიტვლებს: რას ამბობს სინამდვილე, რას ამბობს ცხოვრება? რუსეთის პროლეტარიატის დიდ უმრავლესობაში ხელ-ახლა იმარჯვებს ჩვენი „ბლანკისტური" ტაქტიკა, აბობოქრებული რევოლიუცია ხელ-ახლა ნიადაგს აცლის მეუმცირესეთა ვითომდა მარქსისტულ შეხედულებებს.

მაშ ვნახოთ რაში მდგომარეობს ჩვენი ე. ი. რუსეთის პროლეტარიატის უმრავლესობის ვითომდა „ბლანკისტური" ტაქტიკა?

„ბლანკი არსებითათ პოლიტიკური რევოლიუციონერი იყო, რომელიც სოციალიზმს მხოლოთ გრძნობებით ემხრობოდა და ხალხის უზომო ტანჯვა-წვალებას თანაუგრძნობდა: მას არ ჰქონებია არც სოციალისტური თეორია, არც სოციალური დახმარების განსაზღვრული პრაქტიკული გეგმა. თავის პოლიტიკურ მოქმედებაში ის „საქმის კაცი" იყო, მას სწამდა რომ პატარა, კარგათ მოწყობილი ჯგუფი რომელიც მოხერხებულ დროს აჯანყებას მოახდენს, ხალხს გაიტაცებს და საქმეს ძლევამოსილი რევოლიუციით დააგვირგვინებს... რადგან ბლანკის რევოლიუცია პატარა ჯგუფის აჯანყებათ ჰქონდა წარმოდგენილი, ამიტომ მისი შეხედულებებიდან გამომდინარეობდა დიქტატურის აუცილებლობა, მაგრამ არა მთელი მუშათა კლასის დიქტატურა, არამედ იმ პატარა ჯგუფის, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა აჯანყებაში და რომელიც თავის მხრით ერთი პირის დიქტატურას ემორჩილებოდა".*) ასე ახასიათებს მოკლეთ ფრიდრიხ ენგელსი ოგიუსტ ბლანკის შეხედულებებს. რომელიც საფრანგეთში ივლისის მონარქიის ბატონობის დროს ჩამოყალიბდა.

ამ სიტყვებიდან ნათლათ სჩანს თუ რაში მდგომარეობდა ბლანკიზმის დედააზრი: ბლანკი ამცირებდა ფართო მასსების რევოლიუციური შეგნების მნიშვნელობას მას ეგონა რომ საკმაოა გმირ რევოლიუციონერების პატარა ჯგუფმა წინასწარ გაიფიქროს, გონებაში გააკეთოს რევოლიუციური პროცესი, შემდეგ შეკავშირდეს ფარულ ორგანიზაციაში და დაექვემდეროს „კრიტიკულათ მოაზროვნე" დიქტატორს და რევოლიუციაც ადვილათ მოსახდენია. სულაც არაა საჭირო, რომ რევოლიუციის წინ უძღოდეს ფართო მასსების გათვითცნობიერება, კლასობრივი შეგნების შეძენა, ფსიხოლოგიური (რევოლიუცია უბრალო პირების თავში. პროლეტარიატის ობიექტიური მდგომარეობა ისეთია, ის იმდენათ დატანჯულია დღევანდელ საზოგადოებაში, რომ სტიქიურათ მიემხრობა მოწინავე პატარა რაზმის მიერ გამოწვეულ აჯანყებას და რევოლიუციის ცეცხლს მთელს ქვეყანას მოსდებს. ამგვარათ ბლანკი თავისავე აზროვნების ლოღიკურ ქსელში გაება: მან ერთი მხრით დაამცირა რევოლიუციური შეგნების როლი, ხოლო მეორე მხრით გაზვიადა ის; დაამცირა იმდენათ, რამდენათაც მის მატარებლათ თვით ხალხი, თვით პროლეტარიატი ფართო მასსა გამოდიოდა, გააზვიადა იმდენათ რამდენათაც მის მატარებლათ კრიტიკულათ მოაზროვნე პირები, გმირები გამოდიოდენ. კიდევ მეტი. ბლანკიმ ერთი მხრით გააზვიადა მატერიალური პირობების მნიშვნელობა, იმით რომ ის (მატერიალური პირობები, ე. ი. ექსპლოატაცია, ჩაგვრა და სხ.) პროლეტარიატის ერთათ ერთ გამარევოლიუციონებელ ძალათ მიიჩნია და დაივიწყა რომ კლასობრივი შეგნება თითქმის ისეთივე ბასრი იარაღია, როგორც მატერიალური მდგომარეობა; მეორე მხრით მან დაამცირა ამ პირობების მნიშვნელობა მით რომ რევოლუციის ბედ იღბალი გმირების შეთქმულებაზე დაამყარა. ბლანკი დუალისტი იყო და ბევრი მისი ცოდვები ამით აიხსნება.

ახლა ვიკითხოთ, რაში მდგომარეობს ჩვენი ტაქტიკა და რა ცოდვებს გვაწერენ ამხ. მეუმცირესენი?

„პარი" სწერს: „ბოლშევიკები" გამოდიან იმ მოსაზრებიდან, რომ ხალხი შეიარაღებული აჯანყებისთვის მზათაა და ამიტომაც უპირველეს ყურადღებას მოწინავე რაზმთა შეიარაღება—გაწვრთნას აქცევენ". ეს არაა მართალი: „ბოლშევიკები" გამოდიან იმ მოსაზრებიდან, რომ ხალხი შეიარაღებულ აჯანყებისთვის არაა მზათ და ამიტომ მოწინავე რაზმთა შეიარაღებას ღირსეულ ყურადღებას აქცევენ. „ჩვენ დავინახეთ" განაგრძობს ავტორი, რომ ხალხის ფართო მასსას გარკვეული არა აქვს, რანაირი წყობილებისთვის და რა გზით უნდა იბრძოლოს, რომ მას ჯერ კიდევ არ ესმის დამფუძნებელი კრების მოწვევის საჭიროება. ამიტომ სოციალდემოკრატიული ტაქტიკა მოითხოვს უპირველესათ ხალხის ფართო მასაში შეგნების შეტანას. რაც შეეხება შეიარაღებულ აჯანყებისთვის მზადებას და ამ მიზნით ხალხის შეიარაღებაზე ზრუნვას, ეს მეორე ხარისხოვანი საქმეა". როგორც ამ სიტყვებიდან სჩანს პარის აზრით მეუმრავლესეების ერთი დამახასიათებელი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი უპირველეს ყურადღებას შეიარაღებულ აჯანყების მომზადებას აქცევენ და სოციალდემოკრატიული პარტიის უმთავრეს ვალს—ხალხის ფართო მასსაში შეგნების შეტანას სრულებით აცილებენ. ეს რომ სინამდვილეში ასე იყოს, ჩვენ მართლაც მავნე ბლანკისტები ვიქნებოდით და ჩვენი დამარცხება რევოლიუციის გამარჯვების აუცილებელი პირობა იქნებოდა. საბედნიეროთ პარის ასეთი შეხედულება პარტიულ უთანხმოებაზე სრული გაუგებრობაა. მაგრამ გაუგებრობა ხომ! საბუთი არაა!

მეუმრავლესეები ამბობენ: პროლეტარიატის პოლიტიკურათ აღზრდა, ჩამორჩენილ მასაში კლასობრივი შეგნების შეტანა, ფართო მასსიური ორგანიზაციების შექმნა.—სოციალდემოკრატიის უპირველესი და უწმინდესი მოვალეობაა ყოველგან და ყოველთვის. სოციალდემოკრატია ყოველთვის სათავეში უდგას პროლეტარიატს და უჩვენებს მას მისი განვითარების მომავალ გზას; ის ცდილობს ფსიხოლოგიური რევოლუცია მოახდინოს მასსის შეგნებაში და ამით სოციალურ რევოლუციას ნიადაგი მოუმზადოს. აი მოვიდა რევოლიუციური ხანაც. იცვლება თუ არა აქ სოციალდემოკრატიული პარტიის მთავარი მოვალეობა?

მეუმრავლესენი ამბობენ, რომ რევოლიუციის დროს მუშათა კლასის პოლიტიკური აღზრდის და ორგანიზაციის ცენტრი პროფესიონალური კავშირებისა და ლეგალური საზოგადოებებისკენ კი არა—რევოლუციური არმიაში, შეიარაღებულ აჯანყებასა და დროებით მთავრობისკენ უნდა გადავიტანოთ. ამგვარათ უმთავრესი მოვალეობა — უმთავრეს მოვალეობათ რჩება, ხოლო მისი ცენტრი დროებით. ადგილს იცვლის რევოლიუციის დროს პროლეტარული მებრძოლი არმიის შედგენა და შეიარაღებული აჯანყება უფრო აღრმავებს კლასიურ შეგნებას, ვიდრე პროფესიონალური კავშირები და ლეგალური ბრძოლა. იენისის აჯანყებამ პარიზში ბევრათ უფრო გააღრმავა პროლეტარიატის კლასობრივი შეგნება, ბევრათ უფრო მოამწიფა ის პოლიტიკურათ ვიდრე შეეძლო რამდენიმე წლის ლეგალურ ბრძოლას; 9 იანვრის სისხლის ღვრამ ბევრათ უფრო ადრე გამოარკვია პეტერბურგის პროლეტარიატი საღათას ძილიდან, ვიდრე ამას მშვიდობიანი პროპაგანდა იზამდა; მოსკოვის აჯანყებამ ბევრათ უფრო წინ წასწია რევოლიუციური შეგნება, ვიდრე მოსკოვის პროლეტარიატის მონაწილეობამ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში.

რევოლიუციურ ხანაში პროლეტარიატის შეიარაღებულ აჯანყებისთვის მომზადება სოციალდემოკრატიის დიდი ვალია, რომელიც არა თუ არ ეწინააღმდეგება პოლიტიკური აღზრდის საქმეს, პირიქით მხარს უჭერს მას. ვინც ამას ივიწყებს ის ძალა-უნებურათ პროლეტა-

*) იხ. ენგელსი. „ინტერნაციონალი" [illegible] ლინი. 1894. გვ. 41-42 [illegible] კაუცკი. Респуб. и соц. въ Франціи. მ [illegible]. Исторія Герман. соціальдемокртіи.

რიატის მნიშვნელობას ამცირებს და მას რადიკალური ბურჟუაზიის მოჩანჩალეთ ხდის. შეიარაღებული აჯანყება მაინც მოვა და თუ მას სოციალისტური პროლეტარიატი მოუმზადებელი დახვდა, მებრძოლი რადიკალიზმი ისარგებლებს პროლეტარიატის რევოლიუციური ენერგიით შავი სამუშაოს გასაკეთებლათ.

გ. ქ.

## სადღეისო კითხვებს.

**„პასუხისმგებელ“ სამინისტროს პასუხი.**

საინტერესო სხდომა იყო დუმაში ამ თვის 3 რიცხვს. დუმის ტრიბუნა ამ დღეს ეკირა დუმის მიერ „შერცხვენილ“ და გაძევებულ სამინისტროს წარმომადგენელს, საშინაო საქმეთა მინისტრის ამხანაგს მაკაროვს. საყურადღებო ის არის, რომ დუმა თითქო აძევებს გორემიკინ-სტოლიპინის სამინისტროს დუმის დარბაზიდან, მაგრამ იმავე დროს იმას შეკითხვებს აძლევს და მოხარულია, როცა სამინისტროს რომელიმე მოხელე იკადრებს მას პასუხი გასცეს. სწორეთ ახირებული რამ არის ნამდვილი კომიდიაა! და მთელი ამ ახირებული კომედიის არსენა ეგრეთ წოდებული სახელმწიფო დუმაა. 3 ივლისს ბ-ნ მაკაროვს პასუხი უნდა მიეცა დუმის რამდენიმე შეკითხვაზე: რისთვის არის, რომ მთავრობა ხელს არ იღებს გაძლიერებულ დაცვაზე? რისთვის არის, რომ იგივე მთავრობა განაგრძობს ადმინისტრატიული წესით ხალხის გადასახლებას? და ფიქრობს მთავრობა სამხედრო წესების გაუქმებას თუ არაო? მაკაროვს არხეინათ უჭირავს თავი. იგი გაბედულათ და დაურიდებლათ ლაპარაკობს. ეტყობა რომ მას არ აშინებს ზოგიერთ მემარცხენე დეპუტატების შენიშვნები და რიხიანათ შენიშნავს, რომ „იგი პასუხს იძლევა დუმის შეკითხვებზე და პოლემიკაში ჩარევის სურვილი სრულებით არა აქვს.“ მთავრობის მოხელემ კიდევ დიდი ლმობიერება გამოიჩინა, რომ დუმის შეკითხვებზე ისურვა პასუხის გაცემა. მთავრობას შეეძლო ეს შეკითხვები სრულებით უყურადღებოთ დაეტოვებია, და დუმა პირში ჩალა ამოვლებული დაეტოვებია. მაგ ამ ან კი რას კარგავს მთავრობა, როცა დუმის შეკითხვებზე პასუხს იძლევა? არსებითათ ამით სრულებით არაფერი იცვლება, გარდა იმისა, რომ კომედიას თამაშობენ. მთავრობის პასუხი ხომ წინდაწინ ვიცოდით, როგორიც იქნებოდა. მართალია მთავრობა მარტო ეჭვით იჭერს, ატყვევებს და აციმბირებს ხალხს, მაგრამ ყოველივე ეს კანონის ძალით ხდება. არსებობს კანონი გაძლიერებული დაცვის შესახებ და ჩვენც ვიჭერთ, ვგზავნით და შეიძლება სიცოცხლესაც ვუსპობთ ჩვენ, ე. ი. მთავრობის, მტრებს, ჩვენ ამით ჩვენ კანონს არ ვთელავთ. „აღმასრულებელი მთავრობის კანონის თანახმათ მოქმედება არსებულ კანონების შეურყეველათ ასრულებააო. როცა თქვენ ამბობთ, რომ მთავრობა უკანონოთ იქცევა, თქვენ 17 ოქტომბრის მანიფესტზე გვითითებთ, მაგრამ რისთვის ივიწყებთ, რომ ამ მანიფე'ტს არც ერთი არსებული კანონი არ გაუუქმებია, და რომ ეს ასეა, ამას თვით დუმაც ამოწმებს თავის კანონპროექტებით. რაც შეეხება სამხედრო წესებს, უნდა იცოდეთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლება არა აქვს შემოიღოს და ან გააუქმოს ეს წესებიო. აი ასეთი იყო მთავრობის მოხელის პასუხი. ამ პასუხში მწარე სიმართლე იყო ჩაწვნული. დუმა ტყუილათ იმოწმებს 17 ოქტომბრის მანიფესტს, რომელსაც არც ერთი კანონი არ გაუუქმებია. ეს კანონი კი ისეთია, რომ მისი ასრულება ქვეყნის განადგურებას და ყოველგვარ სისაძაგლის და ბოროტების ჩადენას მოასწავებს. მინისტრებიც სწორეთ ამ კანონს ასრულებენ. რა იმათი ბრალია, რომ კანონები არ ვარგა? სამწუხაროთ, ამ მხრივ მინისტრებს ფორმალურათ უფრო მართალი პოზიცია უჭირავთ, ვინემ დუმის ზომიერ უმრავლესობას—კადეტებს, რომლებიც წამდაუწუმ იმაზე გაიძახიან, რომ რუსეთში არ ვარგიან არა კანონები, არამედ კანონის აღმასრულებელი პირებიო. ვინც ასე მსჯელობს, იგი ყალბ პოზიციაზე დგას და სწორეთ ასეთია დუმის პოზიცია, როცა იგი შეკითხვების კომედიას თამაშობს. მინისტრები მოქმედებენ ისე, როგორც იმათი არსებული კანონები უბრძანებენ. მხოლოთ ამ ბარბაროსული კანონების სრულიათ მოსპობით შეიძლება ყველა იმ უსამართლობის თავიდან მოშორება, რაც დღეს რუსეთში ხდება, და არა მინისტრების შეკითხვით. ეს კომედიის თამაშობაა.

## ახალი ამბები

✦ **ტფ. პოლიცმეისტერის მარტინოვის დაჭრა.** სამშაბათს 4 ივლის საღამოს რვა საათზე პეტრე-ველიკის (ყოფილ-ლაბორატორიის) ქუჩაზე სათავად-აზნაურო გიმნაზიის გვერდით პოლიცმეისტერს მარტინოვს, როდესაც ის თავის სადგომიდან გამოდიოდა, ვიღაც უცნობმა ყუმბარა ესროლა, რომელიც გასკდა ფეხებთან და მძიმედ დასჭრა პოლიცმეისტერი მარჯვენა ფეხში და მკლავში. ყუმბარის აფეთქებამ შიშის ზარი დასცა მთელი მთაწმინდის მცხოვრებთ და ბულვარდზე მოსეირნეთ. ქუჩებიდან ხალხი დაიძრა და გაეშურ მისამ ლაშით. არ გაუვლია ორ მინუტს, რომ ჯარმა ალყა შემოარტყა სათავად აზნაურო გიმნაზიის შენობას და ასტეხა შეუჩერებელი თოფის სროლა, რომელიც ნახევარ საათს გაგრძელდა. ესროდენ გიმნაზიის შენობას და ახლო მახლო ქუჩებში, ასე რომ ამ ქუჩებში გავლა შეუძლებელი იყო; ვისაც მოკრავდენ თვალს მაშინვე ზალპს მიაყოლებდენ. როდესაც ზალპით გული იჯერეს, ჯარი შეიჭრა გიმნაზიის შენობაში და შეუდგა იქაურობის აკლებას და შიგ მცხოვრებთა ცემა-ქლეტას. სათავადაზნაურო გიმნაზიას მეორეთ ეწვია 22 ოქტომბრის შავი დღე. კარგი რომ სწავლა ახლაც შეწყვეტილი იყო და მოსწავლეები არ მოყვენ სასწავლებელში, მაგრამ გიმნაზიის შენობაში სცხოვრობენ გიმნაზიის მოსამსახურენი ოჯახებით და ბევრი მასწავლებელთაგანი. სხვათა შორის ამ დროს კრება ჰქონიათ გიმნაზიის მასწავლებელთ. რამდენია მოკლული, დაჭრილი და დატყვევებული ჯერ სავსებით არ არის გამორკვეული. გამოირკვა მხოლოთ, რომ მოკლულია ამ გიმნაზიის ინსპექტორი შიო ჩიტაძე (ცნობის ფურცლის თანამშრომელი). მძიმეთ დაჭრილია და დატყვევებულია ამავე გიმნაზიის მასწავლებელი ი. აბულაძე, მძიმეთ ნაცემია მასწ. ს. ღლონტი, ნაცემია და დატყვევებულია ს. გიორგაძე. დანარჩენების ამბავი არ იციან, რადგან გუშინ კიდევ ალყა იყო გიმნაზიაზე შემორტყმული და არავის უშვებდნენ ამბის გასაგებათაც. ამბობენ ქუჩაში გამვლელთაგანიც არიან დაჭრილებიო. პოლიციის მხრივ პოლიცმეისტრის გარდა დაჭრილი არიან ტყვიით ბარძაყში მეოთხე ნაწილის ბოქაულის თანაშემწე ვინოგრადოვი, მსუბუქათ ხელში—გოროდოვოი ბოგაევი, პოლიციის მოსამსახურე ჩაჩანი ბესულთან-ბესულთანოვი და ერთი სალდათი. დაჭრილი პოლიცმეისტერი ჯერ თავის სახლში შეიყვანეს და შემდეგ 11 საათზე მიხაილოვის საავადმყოფოში გაგზავნეს. როგორც ამბობენ გიორგაძე და აბულაძე დღეს დილით უპოვიათ გიმნაზიის სარდაფში მიმალული. დაუტყვევებიათ აგრეთვე გიმნაზიის შენობაში გ. მესხი, რომელიც ამ დროს სტუმრათ ყოფილა თავის დასთან, შვეიცარი ანტონოვი და ამ დროს ქუჩაში მიმავალი სპარსეთის ქვეშევრდომი აბრამოვი.

✦ ამავე ამბის შესახებ შირინკინის კანცელარიის ოფიციალური ჩვენება: „4 ივლის საღამოს რვა სათზე, როდესაც პოლიცმეისტერი როტმისტრი მარტინოვი გენერალ გუბერნატორთან მიდიოდა, პეტრე ველიკის ქუჩაზე თავის სადგომთან რამდენიმე ნაბიჯზე სათავად-აზნაურო გიმნაზიის მესამე სართულიდან ესროლეს

## ფელეტონი

**კადეტების მაჩანჩალები.** *)

გუშინ ჩვენ დავბეჭდეთ პოლონელ სოციალ-დემოკრატიის მეხუთე სიეზდის რეზოლიუციები. პოლონელმა ამხანაგებმა (25—30 ათასი წევრი ყავთ პარტიაში), რომელნიც უკვე ჩვენ პარტიაში ირიცხებიან, უარყვეს ც. კ.—ის ტაქტიკა სახელმწიფო სათათბიროს მიმართ. გაჰკიცხეს რა საზოგადოთ ეს ტაქტიკა, მათ აღარ სცნეს საჭიროთ შეჩერებულიყვენ იმ კერძო შეცდომებზე, რომელიც ამ ტაქტიკიდან გამომდინარეობს, როგორიცაა მაგ., კადეტების სამინისტროს მხარის დაჭერა. ცხადია (ვინც პოლონელთა სიეზდზე იყო, კარგათ იციან ეს), რომ ამ „მხარის დაჭერას“ აშკარათ ეწინააღმდეგებიან პოლონელი სოციალ-დემოკრატები. პეტერბურგის ყველა სოციალ-დემოკრატების კონფერენციამაც უარჰყო კადეტების სამინისტროს მხარის დაჭერა. ცენტრალურ მოსკოვის რაიონის საოლქო კონფერენციამაც დაგმო ეს ტაქტიკა.

პეტერბურგის კონფერენციას პარტიის 4 ათას წევრის წარმომადგენლები დაესწრო, მოსკოვის საოლქოს—14 ათასის. ასე რომ, პარტიის 40 ათასმა წევრმა, ე. ი. პარტიის უმეტესობამ (უკანასკნელ სიეზდზე 31—33 ათასი წევრი, წარმომადგენლები იყვენ) დაგმო ცენტრ. კომ. ტაქტიკა რომელიც სათათბიროს სამინისტროს მხარის დაჭე ას შეეხება. პარტიის უმეტესობა მხარის დაჭერის წინააღმდეგია. ჩვენი პარტიული სამინისტრო, ე. ი. პარტიის ც. კ. აღარ არის პარტიის სურვილისა და ნების გამომხატველი: მის ელემენტარულ პოლიტიკურ მოვალეობას შეადგენს, დააჩქაროს არაჩვეულებრივი სიეზდის დაუყოვნებლივ მოწვევა. წინააღმდეგ შემთხვევაში ც. კ. დაემსგავსება ისეთ ჯგუფს, რომელიც პარტიული ძალის და უფლების შესანარჩუნებლათ რაღაც ფორმალურ ხავსს ეჭიდება წინააღმდეგ პარტიის მიერ არსებითად უკვე გამოთქმულ ნებისა. ასეა თუ ისე, პარტია მოახერხებს სიეზდის მოწვევას.

პარტიის უმეტესობის მიერ გაკიცხულ ტაქტიკას, რომელიც სათათბიროს უმრავლესობისაგან, ე. ი. კადეტებისაგან შემდგარ სამინისტროს მხარის დაჭერას შეეხება, დღემდის იცავენ მენშევიკები (თუმცა, როგორც პეტერბურგში მომხდარ დისკუსიების დროს გამოირკვა, მენშევიკების ერთი ნაწილი თავის საკუთარ პოზიციას არჩევს ამ კითხვაში და ამნაირათ ზურგს აქცევს ოპორტუნიზმს). მაშ, ერთხელ კიდევ შევჩერდეთ მემარჯვენე სოციალდემოკრატების საბუთების განხილვაზე.

სათათბიროს სამინისტროს მოპოება, ამბობენ ისინი, „კამარილას ხელიდან ძალაუფლების გამოგლეჯას ნიშნავსო“, „აღმასრულებელ ძალას ხალხის წარმომადგენელთა წინაშე პასუხისმგებლათ გახდის“; ეს „ცრუ-კონსტიტუციურ წყობილების ნამდვილ კონსტიტუციათ შეცვლა“ იქნებაო. („გოლ. ტრუდა“, № 5).

ეს—მტკნარი სიცრუეა. სათათბიროს, ე. ი. კადეტების, სამინისტრო (თუ რომ დააკმაყოფილეს კადეტების მოთხოვნა) სწორეთ კამარილას მიერ დაინიშნება. მაგრამ, განა შეიძლება კამარილას მიერ ლიბერალ მინისტრების დანიშნვას ძალაუფლების ხელიდან გამოგლეჯა დაერქვას? თავის სურვილისამებრ დანიშნულ სამინისტროს, კამარილა, რა წამშიც მოისურვებს, იმ წამშივე გადააყენებს: კამარილა კი არ უთმობს, არამედ ვითომდა უნაწილებს, უყოფს ძალა—უფლებას, კამარილა სინჯავს, გამოადგებიან თუ არა მას ლიბერალური ლაქიები, კამარილას გონიერი წევრები, მაგ. პობედონოსცევი და ტრეპოვი სწორეთ ასე ანგარიშობენ: ლიბერალ მინისტრების დანიშნვა ჩვენთვის ყველაზე უფრო მოხერხებულია. ამით ჩვენ, დავამშვიდებთ არა თუ მარტო კადეტებს (ე. ი. სათათბიროს უმეტესობას), არამედ იმ ს.-დემოკრატებსაც, რომელნიც მოიკადეტებენ. ხოლო, არა-მკითხე მინისტრების თავიდან მოშორება ბევრათ უფრო ადვილია, ვინემ თუნდაც სათათბიროსი. ამასობაში ჩვენ დროსაც მოვიგებთ, არეულ-დარეულებს გამოვიწვევთ სათათბიროს მემარჯვენეებს, ე. ი. სათათბიროს უმრავლესობას, ერთი ერთმანეთ შორის წავკიდებთ პორტფელების გულისთვის, წყალს ავამღვრევთ, კადეტებს ყინულზე გავაცურებთ, როგორც დამშეულთა დახმარების საქმეში გავაცურეთ. იქ ჩვენ ვაიძულეთ ისინი „ნება-ყოფლობით“ შეესრულებიათ პოლიციელ „კეთილ-სინდისიერ“ „მოწმეების“ როლი—და აი, აქაც სწორეთ ამნაირათვე პოლიციელ ლაქიების როლს ვაკისრებინებთ მათ მინისტრების სავარძლებში.

ვინც ოდნავ მაინც იცნობს რუს კადეტების და აგრეთვე სხვა ქვეყნების კადეტების ისტორიას, იმას ეცოდინება, რომ კამარილა ყოველთვის ახერხებდა ლიბერალურ-მონარქიულ ბურჟუების ყინულზე გაცურებას. რომ ასეთი ოინის თავიდან ასაცილებლათ, მხოლოთ ერთი საშვალება გვაბადია: ეს არის პროლეტარების და რევოლიუციონური გლეხობის დამოკიდებულ პოლიტიკური შეგნების განვითარება. მემარჯვენე ს.-დ. კი სწორეთ ასეთ შეგნებას აბნელებენ. ხოლო იმისთვის, რომ რევოლიუციონურმა კლასებმა შეინარჩუნონ და დაიცვან პოლიტიკური შეგნების სიცხადე და დამოუკიდებლობა ბრძოლის საქმეში, ჩვენ, სოც.-დემოკრატებმა, თავი უნდა დავანებოთ კადეტებს: დეე, რამდენიც უნდათ იმდენი ებლანდონ ფეხებში კამარილას მინისტრთა პორტფელების გულისათვის. ამ საქმეში პროლეტარიატის ჩათრევა პროლეტარიატის და რევოლიუციის ინტერესების გაცემას ნიშნავს.

კამარილა, რომ მინისტრები კადეტებს დანიშნავდენ, მაშინ „აღმასრულებელი ძალა პასუხის მგებელი გახდებოდა ხალხის წარმომადგენლობის წინაშე.“ (გოლ. ტრუდა,“) ეს—მტკნარი სიცრუეა. როცა კადეტების პროფესორები გაიძახიან ამას—მათ ღმერთი შეუნდობს. ხოლო როცა ს. დ. იმეორებს ამასვე, ეს კი მიუტევებელია. აღმასრულებელი ძალა პასუხს მგებელია განმნმდებელ ძალის, და არა „ხალხის წარმომადგენლობის“ წინაშე.

*) იხ. „ეხო“ № 6.

ყუმბარა, რომელმაც მძიმეთ დასჭრა პოლიცმეისტერი ხელში და ფეხში. გიენის შენობაში შევიდნენ პოლიციელები და ჯარი და დაატყვევეს ერთი ბომოტმომქმედთაგანი, ხოლო მეორე მოჰკლეს წინაამდეგ ობის გაწევის გამო იმ კანჯარაზე, საიდანაც ყუმბარა იყო ნასროლი, იპოვეს მეორე სასროლათ მომზადებული ყუმბარა. ნამესტნიკმა მაშინვე ინახულა დაჭრილი პოლიცმესტერი, რომელიც ექიმების შემოწმებით თუმცა მძიმეთ არის დაჭრილი მაგრამ სასიკვდილოთ კი არაა. დილის 11 საათზე ნამესტნიკმა მეორეთ ინახულა დაჭრილი ქალაქის საავადმყოფოში“.

✦ **უსაქმოთ დარჩენილთა ინტელიგენტთა ბიურომ** როგორც იყო, მოაწყო საქმე ქ. გამგეობასთან და ამ სამ-ოთხ დღეში ინტელიგენტები შეუდგებიან მუშაობას. სამუშაო ასეა განაწილებული: 200 კაცი შეუდგება ქალაქის შენობების სანიტარულ სტატისტიკურ აღწერას, 300 კაცი—ქალაქის მცხოვრებთა საერთო აღწერას, ხოლო 70 კაცი შეადგენს კანცელარიას. კანცელარიის გამგეთ დანიშნული იქნება ერთი უსაქმოთ დარჩენილთაგანი სტატისტიკოსი, რომელსაც ექნება 70 მანეთი თვიური ჯამაგირათ. მომუშავეთაგანს მიეცემათ 1 მან. 50 კ. დღეში. სულ ამ საქმისათვის გიდადებულია 21 ათასი მანეთი. სანამ მუშაობას შეუდგებოდენ მომუშავენი მოისმენენ ლექციას, თუ როგორ უნდა აწარმოვონ სანიტარული აღწერა.

✦ უმუშაოთ დარჩენილ ინტელიგენტთა ბიურო აცხადებს, რომ იმათ მხრიდან არჩეული კომისია უკვე შეუდგა სამუშაოს ტეხნიკურ მოწყობას, ამიტომ სთხოვს სიაში ჩაწერილ ინტელიგენტებს გამოცხადდეს ქალაქის გამგეობის ბიუროში, სადაც მიიღებენ მოწმობას, რომლითაც ნება მიეცემათ სამუშაოს შეუდგენ. ამასთანავე ბიურო სთხოვს იმ ინტელიგენტებს, რომელნიც სანიტარულ სტატისტიკის აღწერას შეიძლებენ, აცნობონ ეს ბიუროს.

✦ ჩვენ მივიღეთ კახეთის მევენახეთა ფირმისაგან „შრომა“ შემდეგი წერილი: „ყველა ის მოთხოვნები, რომელიც მუშებმა წარმომიდგინეს და რომელიც „სამართლის“ გუშინდელ ნომერშია მოთავსებული, მე ჩემს მუშებს სულ დაუთმე“ წერილზე ხელს აწერს თავ. ხ. ი. ვაჩნაძე.

✦ გაზეთის წინა ნომერში მოხსენებული გვქონდა, რომ აფიცერმა გიორგი ზაალოვმა მეტეხის ციხეში წაყვანის დროს გზაში მოჰკლა დატყვევებული ჩარკვიანი და მამაცაშვილი, რომელთაც აფ. ტემნიკოვზე დავდასხმას აბრალებდენ. ამ ამბის შესახებ დანამდვილებით გვაცნობებენ, რომ არც ერთი მოკლულთაგანი აფიცერს ტემნიკოვს თავს არ დასცემია არამედ თვითონ ტემნიკოვს შეუმჩნევია, რომ ისინი შეიარაღებული იყვნენ და დასდევნებია უკან, რითაც აიძულა ისინი ესროლათ მოსაგერებლათ და შემთხვევით ერთი სალდათი დაეჭრათ. დაუსხლტენ რა ხელიდან აფ. ტემნიკოვსა და მის სალდათებს, ჩარკვიანი და მამაცაშვილი იძულებული გამხდარან მიმალულიყვენ კარგანოვის სახლში, სადაც დაატყვევეს კიდევაც. დატყვევების დროს იქ დასწრებია სხვათა შორის პოდპოლკოვნიკი ბ. ხერხეულიძე, რომელსაც მაშინ უხსნია ისინი სიკვდილისაგან, თორემ იქვე უპირებდენ მოკვლას. აქედან აფიცერს გ. ზაალოვს წაუყვანია საკამენდანტო სამართველოში, სადაც დილის 10 საათიდან ღამის 11 საათამდე ამყოფეს. აქვე მოულაპარაკნიათ აფ. ზაალოვს და აფ. ტემნიკოვებს (საკ. სამართველოში ტემნიკოვის გვარის სამი აფიცერი მსახურებს) და გადაუწყვეტიათ დატყვევებულების მოკვლა. ასეთ განზრახვისათვის ხელი რომ არავის შეეშალა, არც კი წარუდგენიათ დატყვევებულები საკამენდანტოს უფროს ყარაულისათვის. 11 ს. აფ. გ. ზაალოვს ოთხი სალდათის თანახლებით წაუყვანია მეტეხის ციხეში, და ციხის ალაყაფის კარებთან თითონ თავის ხელით რევოლვერით მოუკლავს ორივე. როგორც ექიმების შემოწმებამ აღმოაჩინა ტყვია წინ გულიდან აქვთ მოხვედრილი, რაიც შეუძლებელი იყო რომ გაქცეულიყვნენ. უნდა შევნიშნოთ, რომ გამოძიებას იმ საქმისას ისე აწყობს ადმინისტრაცია, რომ საქმის ნამდვილ მოწმეებს გვერდს უვლიან, მაგ. არ ეკითხებიან პოდპ. ბ. ხერხეულიძეს და სხვა.

✦ დ. სურამში კვირას 2 ივლის საქველმოქმედო მიზნით დადგმულ წარმოდგენიდან დარჩა წმინდა შემოსავალი 70 მანეთი, რომელიც გაიყო ორ ნაწილათ და გადაეცა დ ნიშნულებისამებრ თავის ადგილას.

✦ ქალაქის სულის საავათმყოფოს მოსამსახურეებმა თებერვალში საჩივარი შეიტანეს ქალაქის გამგეობაში ამ საავათმყოფოს გამგე ექიმ მ. გედევანოვზე და ზედამხედველ ვ. ხუციაშვილზე; ბრალსა სდებდენ საავათმყოფოს საქმეების ცუდათ წაყვანაში და სხვა და სხვა ბოროტ მოქმედებაში. გამგეობამ გამოიძია ეს საქმე, მაგრამ მ. გედევანოვმა და ვ. ხუციძემ საჭიროთაც არ სცნეს რაიმე ჩვენება მიეცათ ამ საჩივარზე. დღეს კი ქალაქის გამგეობა თხოულობს მაგათგან, რომ ერთის კვირის განმავლობაში უსათუოთ მისცენ პასუხი

# პარტიის ცხოვრება

**კიევი.** უკრაინის მუშათა კრებაზე კიევში, რომელიც 18 ივნისს მოხდა, გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ, უკრაინის მუშები ქ. კიევისა, ვიღებთ-რა მხედველობაში, რომ სახელმწიფო სათათბირო ვერ ხატავს ხალხის ნამდვილ ინტერესებს, რის გამოც ვერ შეუძლიან დააკმაყოფილოს ხალხის მოთხოვნილებანი,—საჭიროთ ვცნობთ აშკარათ ვიბრძოლოთ, სათათბიროსგან დამოუკიდებლათ, დამფუძნებელი კრების მოსაწვევათ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და დახული კენჭის ყრით“. („ეხო“ № 7).

—

**ლანჩხუთის რაიონი** (გურია). 26 ივნისს შედგა კრება ლანჩხუთის რაიონის პარტიის წევრთა, რომელსაც დაესწრო 550 კაცი. კრების უმთავრესი დანიშნულება იყო წარმომადგენლების არჩევა გურიის ხელმძღვანელ კოლექტივისა და რაიონულ ორგანიზაციისათვის. ამას გარდა კრებაზე გასარჩევათ წამოყენებული იყო შემდეგი საკითხები:

1) სახელმწიფო სათათბირო და ჩვენი ს. დ. დამოკიდებულება მასთან;

2) პარტიის ახალ წევრთა უფლება;

3) მიღებულ ორგანიზაციის წესდების პროექტის გადასინჯვა და სხვ.

ყველა ამ კითხვებზე კრებამ იქონია მსჯელობა და გამოიტანა შესაფერი რეზოლიუციები.

პირველი კითხვის შესახებ კრებამ ერთხმათ მიიღო გურიის კომიტეტის მიერ შემუშავებული რეზოლიუცია ცოტა შესწორებით და დამატებით. აი თვით რეზოლიუცია: „ს.-დ. ფრაქციას და მშრომელთა ჯგუფის დეპუტატეს გურიის ს.-დ. ორგანიზაციისაგან:

ამხანაგნო-დეპუტატებო!

ჩვენ გაფაციცებით ვადევნებთ თვალყურს თქვენს ბრძოლას დუმაში, დარწმუნებული ვართ, რომ მრავალ-მილიონი რუსეთის პროლეტარიატის და მშრომელი გლეხ-კაცობის ინტერესების ნამდვილი გამომხატველი და დამცველი თქვენ ხართ. —გამარჯვება, ან სიკვდილი! ასე ცხოვრება შეუძლებელია! აი დღევანდელი ჩვენი დევიზი.

მთელი რუსეთი სამხედრო ბანაკს წარმოადგენს, ყოველგან სიკვდილი მეფობს. ხალხის ინტერესებისათვის თავგანწირული მებრძოლნი მთავრობის ჯალათების ხელით იხოცება:

1) ჩვენ მოვითხოვთ, რომ დაუყონებლივ მოეღოს ბოლო აღმაშფოთებელ თვითნებობას და მხეცურ ძალმომრეობას.

2) ჩვენ მოვითხოვთ სიკვდილით დასჯის გაუქმებას.

ჩვენი საუკეთესო ამხანაგები გადასახლებულია შორეულს და ცივს ქვეყნებში, ზოგნიც ციხეებში იტანჯებიან და მოელიან სასიკვდილო განაჩენს;

3) ჩვენ მოვითხოვთ სრულს ამნისტიას ყველა პოლიტიკურ, აგრარულ და რელიგიოზურ რწმენისთვის დევნილთა და დაპატიმრებულთათვის.

ჩვენ გაგვანადგურეს, საცხოვრებელი გადაგვიწვეს და გადაგვიბუგეს, ცოლშვილი გაგვიუპატიურეს მთავრობის მოსამსახურეებმა და „ოპრიჩნიკებმა“, სარჩოსაბადებელი გაგვიქურდეს და გაგვიძარცვეს, ქვეყანა უდაბნოთ აქციეს.

4) ჩვენ მოვითხოვთ რეაქციის დროს რუსეთის აოხრება-აწიოკების ხელმძღვანელ მთავრობის და აგენტ-მოხელეების სამართალში მიცემას;

სამხედრო წესების გამო იძულებულნი ვართ მთებსა და ტყეებს თავი ვაფაროთ, სიცოცხლე შესწყდა ცხოვრება აუტანელი ხდება:

5) ჩვენ მოვითხოვთ დაუყონებლივ გაუქმებას სამხედრო წესებისა და ყოველგვარი განსაკუთრებული ზომების, რომელნიც მიმართული არიან რეაქციის გასაძლიერებლათ;

შრომის ყოველგვარ დარგში გამეფებულ უმუშევრობისა და ბარბაროსული ექსპლოატაციის გამო აუარებელ ხალხს სიმშილით სიკვდილი და გადაშენება მოელის:

6) ჩვენ მოვითხოვთ 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას და საზოგადოებრივ სამუშაოების ორგანიზაციულათ მოწყობას;

ჩვენი შვილები და ძმები, რომელთაც გვაჰრთმევენ ყოველ-წლივ, თითქოს სამშობლოს გარეშე მტრებისაგან დას ცველათ, სიკვდილით დასჯის შიშით იძულებულნი ხდებიან ჩვენვე გვესროლონ, თუნდ უბრალო პროტესტის დროს, რომელსაც

---

კარგათ დაიხსომეთ ეს. ახლა შემდეგს აკიხსნით. ვის ხელშია ამ ჟამათ რუსეთში კანონმდებლობითი ძალა? 1) უზენაესი მთავრობის; 2) სახელმწიფო საბჭოს; 3) სახელმწიფო სათათბიროს.

მიხვდით, თუ არა ახლა თქვენი შეცდომა? კადეტების მინისტრები პასუხს აგებენ, როგორც სათათბიროს, ისე სახ. საბჭოს და კამარილას წინაშე. ხოლო საქმის ისე გამოყვანა, თითქო ისინი მხოლოთ სათათბიროს წინაშე იყვნენ პასუხის მგებელნი, ხალხის მოტყუილებას ნიშნავს.

განვაგრძოთ, როგორ მდგომარეობაში ჩავარდება ისეთი სამინისტრო, რომელმაც სამ სხვა და სხვა დაწესებულებათა წინაშე უნდა აგოს პასუხი? ყალბ მდგომარეობაში. მინისტრები იძულებული იქნებიან მოიხმარონ და დაიფარონ ყველა არსებული კანონები, სანამ ამ კანონებს არ შესცვლიან სამივე ზემოთ დასახელებული დაწესებულებანი. ტყვილათ კი არ მლიქვნელობენ და ყოყოჩობენ როდიჩევის მაგვარი ენაჭარტალა კადეტები—ჩვენ სამეფო გვარეულობის ფარი ვართო. კადეტებმა კარგათ იციან, რაშიცაა საქმე, მემარჯვენე ს.-დ. კი სხვის ხმას აყოლიან, საქმის ვითარებას კი ვერ მიმხვდარან.

რატომაა, რომ ამ ჟამათ კადეტებმა სამინისტრო გახადეს თავიანთი აგიტაციის ცენტრათ? რატომაა, რომ უწინდიბურის დაბეჯითებით, გულდასმით, უწინდებურის რიხით და გაბედვით აღარ გაიძახიან: ძირს სახელმწიფო საბჭო! ძირს ეს და ეს კანონები, რადგან ხალხის წარმომადგენელი აღმასრულებელ ძალის ხელში ჩაგდებას უშლიანო, რატომაა, რომ ათასჯერ უფრო სუსტ აგიტაციას ეწევიან ამნისტიის. სრული თავისუფლების, საყოველთაო საარჩევნო უფლების სასარგებლოთ, ვინემ მინისტრთა პორტფელების გულისათვის, იფიქრეთ თუ არა თქვენ ამის შესახებ? არა, თქვენ არ გიფიქრიათ ამაზე. უპირველეს ყოვლისა, კადეტები უკანა კარს ურახუნებენ, რადგან მათ არ უნდათ სრული თავისუფლება (მოიგონეთ მათი კანონ-პროექტი კრების თავისუფლების შესახებ), მათ არ უნდათ ისპობით მოსპონ სახელმწიფო საბჭო (მოიგონეთ ზემო პალატა მათ პროგრამაში), რომლის წინაშე ისინი ისეთივე პასუხის მგებელი იქნებიან, როგორც სახელმწიფო სათათბიროს წინაშე და სხ. კადეტებს არ სურთ უწინ სრული ამნისტია, სახელმწიფო საბჭოს მოსპობა, სრული თავისუფლების განხორციელება, საყოველთაო და სხვ. საარჩევნო უფლების მოპოება მოითხოვონ და შემდეგ მინისტრების პორტფელები. რატომ არ უნდათ ეს კადეტებს? იმიტომ რომ ამათ იციან საქმე რაშიცაა, ჩვენმა მემარჯვენე ამხანაგებმა კადეტების მაჩანჩალებმა კი არ იციან ეს,

კადეტები ამბობენ: აი, როცა მინისტრებათ გავხდებით, მაშინ ვიბრძოლებთ ჩვენ ყველა ამ მოთხოვნათა გასაყვანათ. ყველაფერი ერთბაშათ ხომ არ შეიძლება. ჩვენ მაჩანჩალას კი სწამს ყველა ეს და თავის ძალ-ღონეს არ შურავს...

კადეტს კარგათ ესმის, რომ მინისტრი იმავ ძველ, პოლიციურ რუსეთის კანონის წინაშეა პასუხ-ს მგებელი; აგრეთვე სათათბიროს, კამარილას და სახ. საბჭოს წინაშეც. მერე, ვითომდა რაო, რომ ესმის? აი როგორ აჭიკჭიკდება კადეტი: მოითმინეთ, ბატონებო! დამიჯერეთ, რომ მე კადეტი, ყველაზე კარგათ მოვაწყობთ საქმეს კამარილასთანაც და სახელმწიფო საბჭოსთანაც.

დაიხსომეთ ეს, მაჩანჩალებო... კადეტების მუხანათურ ტაქტიკასთან საბრძოლველათ მათ კილოზე აჭიკჭიკება კი არ არის საჭირო, არამედ სრული დამოუკიდებლობის შენარჩუნება, ე. ი. პროლეტარიატის და გლეხობის გაფრთხილება, რომ მათ კადეტებს ნდობის თვალით ცქერა არ დაუწყონ და კადეტების ლოზუნგები არ გაიმეორონ. თქვენი ტაქტიკით კი თქვენ აფერხებთ მუშათა კლასის და რევოლუციონური გლეხობის დამოუკიდებელ ბრძოლას. რევოლუციონურ პირველშობილობას კადეტურ რეფორმიზმის ოსპის საჭმანდზე ყიდით თქვენ.

ჩვენ მეტათ მიგვაჩნია იმ მესიმე ტუილის დაწვრილებით ახსნა, თითქოს კამარილას მიერ კადეტ მინისტრების დანიშვნა „ნამდვილ კონსტიტუციის“ განხორციელებას ნიშნავდეს. მკითხველი თითონ ხედავს ახლა რომ ტრეპოვის მიერ როდიჩევის მინისტრათ დანიშვნა ქაღალდის კონსტიტუციასაც არ სცვლის და თუ ზოგიერთები მაინც გაიძახიან, რომ ასეთი დანიშვნა ნამდვილ კონსტიტუციის შესცვლისო,—ეს იმასა ნიშნავს, რომ მათ ვერ წარმოუდგენიათ რას ლაპარაკობენ.

უშ-ღლეს კანონათ ქცეულ თვით-ნებობისა და ძალმომრეობის გ მო ვაცხადებთ:

7) ჩვენ მოვითხოვთ მუდმივი ჯარის გაუქმებას და მის მაგიერ სახალხო მილიციის შემოღებას; მშრომელი გლეხ-კაცობა მოკლებულია თავის არსებობის უმთავრესს წყაროს-მიწას.

8) ჩვენ მოვითხოვთ მიწების კონფისკაციას და ოთხფორმულიან არჩევნებზე დამყარებულ საგლეხო კომიტეტების ხელში გადაცემას.

ბიუროკრატიულ-პოლიციურმა რეჟიმმა მთელი რუსეთი უსულო კაზარმათ აქცია; სამხედრო დისციპლინა, კანცელიარიული ფორმალიზმი და რუტინა—აი საფუძველნი ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა. ამნაირ საფუძველზე არსებობა ქვეყანას აღარ შეუძლია:

9) ჩვენ მოვითხოვთ დაუყონებლივ მოწვეულ იქნას სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება ოთხ მუხლიან ფორმულით არჩეული.

ღრმათ დარწმუნებულნი, რომ დადგა ჟამი, როცა მ ელი რუსეთი უნდა განახლდეს ფართო დემოკრატიულ საფუძველზე, ჩვენ ვუერთდებით ყველა იმ მოთხოვნებს, რომლებსაც თქვენ წამოაყენებთ და დაიცავთ სათათბიროში სრულიად რუსეთის გმირულად მებრძოლ პროლეტარიატისა და მშრომელ გლეხკაცობის საკეთილდღეოთ. იბრძოლეთ ბოლომდის! ჩვენ თქვენთან ვართ...

ამ რეზოლიუციის მიღების შემდეგ კრება შეუდგა მეორე კითხვის გარჩევას, რომელმაც დიდი კამათი გამოიწვია, მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება: ცინაიდან პარტიის ახალი წევრები ითვლებიან სრულ უფლებიანებათ, არ დაუცადოთ კომიტეტის გადაწყვეტილებას ამ კითხვის შესახებ და მიეცეს პარტიის ახალ წევრთ უფლება მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა.

ამის შემდეგ კრება შეუდგა მიღებული წესდების პროექტის გადასინჯვას. პროექტი მიღებულ იქმნა ცოტაოდენი ცვლილებით. კოოპტაცია გადამჭრ ელი ხმით უარყვეს.

ბოლოს არჩეულ იქნენ კომიტეტის წევრები, ხოლო რაიონულ კოლექტივის წევრთა არჩევნები გადაიდო.

ლენია

# დეპეშები

**(„პეტერბურგის სააგენტოსაგან“)**

**4 ივლისი.**

**პეტერბურგი.** სამოქალაქო თანასწორობის პარლამენტარულმა კომისიამ ამოირჩია ორი პოდკომისია წოდებათა და ქალთა თანასწორობის კანონპროექტის შესამუშავებლათა. ქალთა თანასწორობაზე მოხსენებას წაიკითხავს პროფესორი პეტრაჟიცკი. — კურლიანდიის გენერალ-გუბერნატორის ცნობით მაისის უკანასკნელ რიცხვებში კურლიანდიაში ტერორი საშინლათ გაძლიერდა. ყველაზე უფრო მიტავის რაიონში იყო მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობა.

**მოსკოვი.** მას შემდეგ, რაც აქ დეპუტატი რამიშვილი ჩამოვიდა და მუშების კრებებზე სიტყვების წარმოთქმა დაიწყო, გრადონაჩალნიკმა უბრძანა პოლიციას, დახუროს კრებები, თუ ვინმე . გარეშე (?) დაესწრება.—უსაქმოთ დარჩენილები დღეში 1 მანეთ ხელფასს და რვა საათის სამუშაო დღეს ითხოვენ ქალაქის სამმართველომ უარი უთხრა —მოსკოვის შეარაღებული აჯანყების საქმის გამოძიება დამთავრდა საქმე რამდენიმე ნაწილათ გაყვეს

**მოსკოვი.** მეპურეების ერთი ნაწილი მუშაობს, მეორე ნაწილს არ უნდა მუშაობის დაწყება. გრადონაჩალნიკმა მეპურეებს შეკრების ნება არ მისცა.—ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირმა დაადგინა არ ააწყონ გაზეთი „ვეჩე“

**ტომსკი.** სადგურ სუდჟენკაზე სამგზავრო მატარებელი დაეჯახა საქონლის მატარებელს. მოკვდა 12 კაცი, დაიჭრა 14.

**ნოვოჩერკასკი.** შტაბის უფროსმა 3 თვით დაატუსაღა ოფიცერი მირონოვი, რომელმაც სახელმწიფო სათათბიროს წევრებს გადასცა ერთი სტანიცის დადგენილება, კაზაკების სამშობლოში დაბრუნების შესახებ.

**კოსტრომა** რამდენიმე მაზრაში მემამულეების ტყეებს, მამულებს და სახლებს ცეცხლ უკიდია.

**ელისავეტოგრადი** დარაჯებს და ტუსაღებს შორის შეტაკება მოხდა. დარაჯებმა მოკლეს 2 ტუსაღი. მუშებმა კრებები გამართეს და დარაჯებს პროტესტი გამოუცხადეს.

**პოლტავა,** ს. ბალიასნში დაიწყო გლეხების და მუშების მოძრაობა. პოლტავიდან წავიდენ ვიცე-გუბერნატორი და სტრაჟნიკები. პოლტავის გუბერნიაში ავრცელებენ უსარებელ პროკლამაციებს, რომლებშიაც საერთო გაფიცვისკენ იწვევენ ხალხს.

**კოვნო.** აგრარული მოძრაობა საშინლათ ვრცელდება მარიამოპოლის მაზრაში. გლეხები მემამულეებისთვის მუშაობაზე უარს ამბობენ.

**ოდესა** პორტში გაფიცულებს შეუერთდენ მენახშირეები და „დობროვოლნი ფლოტის“ სარემონტო სახელოსნოების მუშები. გენერალ-გუბერნატორმა მუშებს არ მისცა ნება შეკრებილიყვენ და საბოლოოთ შეემუშავებიათ მოთხოვნები.

**მოსკოვი.** უცნობებმა პეტროვის მონასტერიდან გაიტაცეს 30,000 მან., ნივთები და მიიმალენ.

**სევასტოპოლი.** ადმირალ ჩუხნინის მკვლელობაში მონაწილეობა შესწამეს სამადარიგო მატროს შატენკოს და დაიჭირეს. ჩუხნინის მკვლელი მატროსი აკიმოვი ვერ დაიჭირეს.

**ლონდონი.** სტატს-სეკრეტარმა რენსიმენმა პალატაში განაცხადა, რომ რუსეთის მთავრობას არ სურს, გარეშე ქვეყნების გემები ესტუმროს რუსეთის პორტებს, რადგანაც ეს სახელმწიფოში არეულობას და მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციას გამოიწვევს.—ამისდა გვარათ ინგლისის ფლოტი ბალტიის ზღვაში აღარ შევა.

**ბერლინი.** ღამე ბერლინის ოლმოსავლეთ ნაწილში ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლის ჩაქრობის დროს დიდი არეულობა მოხდა. დაიჭრენ პოლიციელი და მუშა.

**იუზოვკა.** კარპოვის მაღაროების ადმინისტრაციამ მუშების მოთხოვნების ნაწილი დააკმაყოფილა; სხვათა შორის: სახალხო სახლის გამართვა, აბანოების აშენება, გაზეთის გამოწერა. მუშები მუშაობას შეუდგნენ.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** აქაური ციხიდან გაიქცა პოლიტიკური ტუსაღი კენნირგონი, რომელსაც ბალტიის მხარეს დამსჯელი ექსპედიციისგან სიკვდილი ჰქონდა გადაწყვეტილი. ეს ტუსაღი პირველათ ბალტიის მხარედან გაიქცა და ნიჟნი-ნოვგოროდში დაიჭირეს.

**ბუდა-პეშტი.** ოთხმა ტუსაღმა სოციალისტებმა შიმშილობა გამოაცხადეს, იმიტომ, რომ იმათი წერილები გახსნეს და დაიჭირეს.

**იალტა.** გაიტაცეს ხაზინის სასმელის მაღაზიიდან 1200 მანეთი.

**პეტერბურგი.** პიროვნების ხელშეუხებლობის კომისიას 1 ივლისს ერთ უკანასკნელ სხდომათაგანი ჰქონდა. კანონპროექტს მალე სახელმწიფო სათათბიროში შეიტანენ. —ფინანსების სამინისტრომ დაადგინა დიდი უქმეების წინ დღეს 7 საათ ს მუშაობა დაწესდეს.

— გაიფიცენ პირველი საპოლიციო ნაწილის პოლიციელები. მიზეზი ის არის რომ იმათ დაპირებული ფული არ მისცეს. გაფიცულების მაგივრად რეზერვის პოლიციელები მოიწვიეს.

— გემების უფროსები და მუშები ვერ მორიგდენ. გაფიცულებს ნევის რაიონის მუშები შეუერთდენ.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს სხდომა 3 საათზე გაიხსნა. თავმჯდომარე მურომცევია; სახელმწიფო მდივანი აცხადე ს, რომ ხელმწიფემ დაამტკიცა სახელმწიფო სათათბიროსგან და საბჭოსაგან წარდგენილი პროექტი 15 მილიონის დამშეულ გუბერნიებისთვის გადადების შესახებ. დუმა შეუდგა მიწის საკითხის განხილვას. მუხანოვი ამბობს, რომ დუმას ახლა პირველათ მოუხდება ხალხთან მიმართვა მთელი დუმის სახელით. მთავრობის ცნობებით აღმასრულებელმა ძალამ კანონმდებელ ძალას საშინელი ომი გამოუცხადა. ობნინსკი კითხულობს აგრარული კომისიის მოხსენებას და ხალხთან მიმართვის პროექტს. თავმჯდომარის აზრით პროექტი ყოველი მხრით უნდა განიხილონ, რადგანაც სახელმწიფო სათათბირომ ყოველი წერტილისთვის უნდა აგოს პასუხი. ნიკოლაევსკი მთავრობის მოხსენებაში უკანონობას ხედავს, რადგანაც კარრიკატურული ბიუროკრატიული სამინისტრო დასცინის სახელმწიფო დუმას, დუმამ დროებით უნდა შეასრულოს აღმასრულებელი ძალის როლი, თუნდა ამისთვის ხელმწიფესთან მოლაპარაკებაც დასჭირდეს. ხალხი და ჯარის ნახევარი ნაწილი გულის ძგერით შესცქერის დუმას და ელის (მარცხნიდან ტაშს უკრავენ) კუზმინ-კარავაევის აზრით ეს კითხვა ძალიან დიდ-მნიშვნელოვანია, სახელმწიფო სათათბირო პირველად ადგება სრულიად ახალ გზას, მაგრამ ეს ნაბიჯი არ არის სახიფათო. ჩვენ მშვიდობიან დროში და ნორმალურ ცხოვრების მიმდინარეობაში არ ვცხოვრობთ ჩვენი ნაბიჯი შეიძლება არ იყოს გასამართლებელი თეორეთიული კონსტიტუციონალიზმის აზრით, მაგრამ იმაში რაც ახლა მთელ რუსეთში ხდება, პასუხ ჩვენ ვაგებთ — მთელი დუმა დ კერძოთ თითვეული ჩვენგანი. ამბობენ, რომ აგრარული მოძრაობა რევოლიუციონური აგიტაციის შედეგია, მაგრამ რევოლიუციონური ორგანიზაციები ხომ ყველა დასავლეთ ქვეყნებში არსებობს, რატომ იქ არ იფეთქა რევოლიუციამ, არა - რევოლიუციის ხელოვნურათ შექმნა შეუძლებელია. მთავრობას სურს ხელოვნურათ დასცეს ხალხის თვალში დუმა, იმ ხალხის თვალში, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ დუმის ავტორიტეთი სწამს; „პრავიტელსტვენი, ვესტნიკი“-ს ტელეგრამები, სამინისტროს მაისის დეკლარაცია და მთავრობის უკანასკნელი ცნობა მიწის საკითხზე — აი რა გააკეთა მთავრობამ ამ გზაზე. დუმას აქამდის არაფერი სასარგებლო არ გაუკეთებია. ხალხი ამბობს: „ან არ განებებენ ან არ შეგიძლია თქვენ მოქმედებაო“, აქედან უნდა ვეცადოთ მედგრათ ვიმოქმედოთ და გავამაგროთ სახელმწიფო დუმის ავტორიტეტი, რადგანაც მხოლოდ ამით შეგვიძლია რუსეთის ხსნა (აშის ცემა). თავ. ვოლკონსკის ეშინია, რომ გლეხები მიმართვას ვერ გაიგებენ და მინისტრებს გადაემტერებიან და ამით დამშვიდების მაგივრად არეულობას გამოიწვევენ. ამნაირათ ხალხთან მიმართვა უარესათ გაამწვავებს მოძრაობას (ტაში მარჯვნიდან, სიცილი მარცხნიდან). სკირმუნტის აზრით დუმის დეკლარაცია საშინელ არეულობას გამოიწვევს დუმამ მოლოდინ გზაზე შესდგა ფეხი. ის ზომები, რომლებსაც დუმა იღებს აძლიერებს მთავრობას. ამ ტრიბუნიდან რომ მინისტრებს იმდენი შეურაცხყოფა არ აყენათ შეიძლება სამინისტრო თითონ გასულიყო სამსახურიდან (ხმაურობა მარცხნიდან) რუსეთისთვის დეკლარაცია არ არის საჭირო. ბნელი-შეუგნებელი გლეხობა აგიტატორების ხელმძღვანელობით ცუდათ გაიგებს დეკლარაციას და ვინ იცის რა ზედურება მოხდება (ხმაურობა ძლიერდება). ბარაშევის აზრით დეკლარაცია არეულობას („სმუტას“) გამოიწვევს. პეტრაჟიცკი ამბობს, რომ ხმები ორათ გაიყო, ვინც მემარჯვენეა დეკლარაციის წინააღმდეგია, ვინც მემარცხენეა—მომხრეა. ასეთი მდგომარეობა არა სასურველია. თუ მთავრობამ გვაიძულა მივმართოთ ხალხს დეკლარაციით, იმნაირათ უნდა მოვახერხოთ, რომ ჩვენ დეკლარაციაში დიდებული სიტყვა უნდა ითქვას, დიდებული შედეგი უნდა მოყვეს. სად არის ეს დიდებული სიტყვა? თუ ხალხისთვის მთავრობის მოქმედების უკანონობის ახსნაა საჭირო მაშინ ჩვენ სეფე სიტყვის საპასუხო ადრესიდან უნდა გავიმეოროთ შესაფერი ადგილები, სახელმწიფო სათათბიროს სახელით ორატორი ევედრება დუმას მინისტრებთან ჯიბრის. გულისთვის პოლიტიკურ უტაქტობის ჩადენას ერიდოს. ასეთი ზომებით საქმე არ გაკეთდება (მემარჯვენები დ ცენტრი ტაშს უკრავენ). პროტოპოპოვის აზრით სახელმწიფო სათათბირო სრულიათ არ უხვევს მშვიდობიან გზას- დუმაში დაუსრულებელი კონფლიქტია და ხალხი კი ისე ელის დუმის ხმას, როგორც ბავშვი დედის რძეს. დაგვიანება შეუძლებელია. ცეცხლის ჩასაქრობათ ყოველივე ღონე უნდა ვიღონოთ, ჟილკინის აზრით დუმა იძულებულია ახალ გზას დაადგეს, რადგანაც პარლამენტარული წესით მოქმედება ამ პირობებში შეუძლებელია. ქვეყნის სათავეში ჯალათები და მკვლელები უდგიან და სახელმწიფო სათათბირომ კი ვერაფერი გააკეთა.—თავჯდომარე ორატორს ლაპარაკს აწყვეტინებს. ჟილკინი ამტკიცებს, რომ ის მართალია თვით დუმამ ერთხმათ გადაწყვიტა, რომ მინისტრები ჯალათები და მკვლელები არიან. ორატორი ქვეყნის დამშვიდებას არ თანაუგრძნობს, რადგანაც მხოლოთ ხალხის მოძრაობით მოიპოვა რუსეთმა წარმომადგენლობა. სახელმწიფო სათათბირომ ხალხი მწყობრი ბრძოლისკენ უნდა მოუწოდოს. ხალხმა დუმას მხარი უნდა დაუჭიროს, რკალივით უნდა შემოერტყას მას, ამ მხრით აგრარული კომისიის პროექტი არ არის დამაკმაყოფილებელი (მარცხნიდან ტაშს უკრავენ): საფონოვის აზრით თუმც დეკლარაციის გამოცემა რევოლიუციონური ნაბიჯია, მაგრამ განა მთავრობის დეკლარაცია უფრო რევოლიუციონური ნაბიჯი არ არის? მთავრობა დუმას ბრძოლაში იწვევს, დუმამ არ უნდა დაიხიოს უკან. ყოველი მხრიდან საშიში ხმები მოდის; ისმის სროლა, იწვის მამულები, გლეხებში არეულობაა. დუმა კარგავს თავის ავტორიტეტს და ნდობას ხალხის თვალში, ჩვენ უნდა ნათლათ დავანახოთ ხალხს ჩვენი დეკლარაციით დუმის და მთავრობის ნამდვილი სახე. ამის შემდეგ მთავრობა ვეღარ გაბედავს წინანდულათ დეკლარაციის გამოშვებას (ტაში). ლედნიცკის აზრით აღელვებულ ხალხს ვერ დააკმაყოფილებს დეკლარაცია. დუმას შეიძლება მანიფესტის გამოცემაც დასჭირდეს (ტაში). რამიშვილის აზრით მთავრობის დეკლარაცია შავრაზმელთა მოწოდებაა; ორატორს მოსწონს დუმის ახალი ნაბიჯი და აუცილებლათ სცნობს მიწების ჩამორთმევა შეუსყიდველათ მოხდეს და ამტკიცებს რომ მხოლოდ რევოლიუციონური ზომებით განახორციელებს ხალხი აგრარულ პროგრამას (მარცხნიდან ტაშს უკრავენ). ბარათაშვილი ამბობს, რომ რევოლიუციონური მოძრაობა მთავრობის დეკლარაციას არ გამოუწვევია. რევოლიუცია მაინც უნდა მომხდარიყო და ჩვენც უნდა გავყვეთ უკან ხალხს და ვუთხრათ „მიწა თქვენია“.

რედ.-გამომც. **ნ. ახმეტელაშვილი.**

ელექტრო-მბეჭდავი „ლამპარი“ სემენოვის ქ. № 4.